ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 9 (19750) ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ



ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲘᲛᲐᲠᲗᲐ „ᲡᲐᲥᲨᲐᲮᲢᲛᲐᲓᲐᲜᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲮᲐᲪᲔᲤᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲙᲘᲓᲚᲘᲡ ᲞᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲚᲝᲙᲔᲑᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲙᲝᲜᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ, ᲤᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲨᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲝᲔᲦᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ 60 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲣᲑᲣᲠ ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 22 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲣᲑᲣᲠ ᲛᲔᲢᲠ ᲛᲖᲐ ᲠᲙᲝᲜᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ.

ᲐᲮᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ: ᲠᲙᲝᲜᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲡᲐᲘᲠᲗᲝ ᲑᲔᲭᲓᲘ; ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ ᲛᲔᲐᲠᲛᲐᲢᲣᲠᲔ ᲐᲒᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ.

Ⓐ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

(ᲡᲐᲭᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ Მ. ᲞᲔᲠᲔᲡ ᲓᲔ ᲙᲣᲔᲚᲘᲐᲠᲡ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ,

დამთავრდა 1986 წელი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციიან მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებით აისახა კაცობრიობის დაინტერესება დაერღვია მზარდი გამალებული შეიარაღებით მოცული წლების წყება.

მოხერხდა კი ამის მიღწევა? სამწუხაროდ, არა, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო როდი ესწრაფვოდა შეიარაღების ზრდის შეწყვეტას საქმით და არა სიტყვით.

მაგრამ ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს 1986 წელს არ გაემართლებინოს თავისი პოლიტიკური სიმბოლიკა. ალბათ, მსოფლიო გაერთიანების ყურადღება არასდროს არ ყოფილა ესოდენ კონცენტრირებული ომისა და მშვიდობის საკითხოროტო პრობლემებზე.

იბადება აზრი — აი, ახლა, როცა მშვიდობის საფიცარი ბოლო ტატანის კუთვნილება ხდება, ვალდებული ხომ არ არის თითეული სახელმწიფო ერთხმად მიღებული რეზოლუციის პასუხად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წარუდგინოს თავისებური ანგარიში იმის თაობაზე, თუ რა იღონა იმისათვის, რომ მშვიდობის წელი ნამდვილად შეესაბამებოდეს თავის სახელწოდებას. ყოველ შემთხვევაში, რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, თუნდაც ზოგადი სახით მთლიანად გავაცნოთ თქვენი მეობებით მთელ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, თუ რა გააკეთა კონკრეტულად საბჭოთა კავშირმა იმისათვის, რომ განვლილ წელს გაემართლებინა მასზე დამყარებული იმედები.

დავიწყებ იმით, რომ მშვიდობის საერთაშორისო წლის პირველ თვესვე, 15 იანვარს, საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა მსაზღაბითა და მიზნებით არნახული ინიციატივა, როცა წამოაყენა უბრითვო მსოფლიოს შექმნისა და მიმდინარე საუკუნის დამლეგამდე მაარობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის, მათ შორის ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის პროგრამა. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვაკონკრეტებდით ამ პროგრამას ცალეული მიმართულებებით, განვამტკიცებდით მას პრაქტიკული საქმეებით.

როცა საბჭოთა კავშირმა ფეხი შედგა მშვიდობის წელიწადში, მის ბირთვულ პოლიგონებზე უკვე ხუთ თვეს სიჩუმე სუფევდა. მთელი წლის მანძილზე ვახანგრძლივებდით ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმს, თუმცა სხვები განაგრძობდნენ ისედაც ყოველისდამანგრეველი მომაკვდინებელი იარაღის სრულყოფას. ის, რომ საბჭოთა კავშირმა ვადა გაუგრძელა მორატორიუმს 1987 წლის 1 იანვრის შემდეგაც — პირველ ამერიკულ აფეთქებამდე — გამალებული ბირთვული შეიარაღების გზაზე ეფექტიანი ბარიერის აღმართვის კიდევ ერთ შანსს იძლევა.

წელს ისეთი ვითარება იქმნებოდა, რომ საჭირო გახდა საგანგებო ღონისძიებანი, რათა თავი დაგვეწია მზარდი გამალებული შეიარაღების მანკიერი წრისათვის. შეგნებული გვაქვს რა ეს, ჩვენ მოვიქეცით ისე, რომ ყველა საქმე გადავდეთ და შევხვდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბირთვულ-კოსმოსური კომპლექსის კარდინალურ პრობლემათა გადაჭრის გზების გამოსაძებნად. ამ შეხვედრის შედეგები ცნობილია. იმედი იმისა, რომ მას პრაქტიკული შედეგები მოჰყვება, არ გამართლდა.

მაგრამ რეიკიავიკის შეხვედრამ ბირთვული განიარაღების საქმე არნახულად მაღალ მიჯნაზე გაიყვანა, საიდანაც გადაიშალა ახალი ჰორიზონტები. და კაცობრობამ დასახული პერსპექტივის იმ იმედით შეჰყურებს, რომ ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირებისა და სრული ლიკვიდაციისათვის გამიზნული მტკიცე ღონისძიებანი საბოლოო ანგარიშით დადებით შედეგებს მოგვცემს. თავის მხრივ საბჭოთა კავშირს არაერთგზის დაუფასებია ინიციატივები და კვლავ ადასტურებს, რომ ამ გზით პირებს საარულს.

სამწუხაროდ, ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებში არ იჩენენ მზადყოფნას იმ მორიგებათა მიგნებისათვის, რომლებიც ეფექტიანად შეაკავებენ გამალებულ შეიარაღებას. უფრო მეტიც, ისინი არყევენ და ძირს უთხრიან უკვე არსებულ შეთანხმებებს, რომლებიც ზღუდავენ ბირთვულ არსენალებს, მათ შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, ცდილობენ შეარყიონ სტრატეგიული სტაბილურობა, ზრდიან ბირთვულ შეიარაღებას წინათ შეთანხმებული ფარგლების გადაჭარბებით, ცდილობენ კოსმოსში იარაღის გატანას.

ხშირად ბირთვული განიარაღების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, საბჭოთა კავშირი ბირთვული იარაღის არსენალების ლიკვიდაციისათვის იმიტომ იღვწის, რომ ჩვენ ეგონიარი იარაღისა და შეიარაღებული ძალების დარგში უპირატესობა მოიპოვოსო. ეს მტკიცებანი სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკური ხრიკი. ჩვენ მოკავშირეებთან — ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებთან ერთად 1986 წლის ივნისში ბუდაპეშტის თათბირზე წამოვაყენეთ წინადადება ევროპაში — ატლანტიკიდან ურალამდე — შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის კომპლექსური და ღრმა შემცირების შესახებ. მაგრამ ნატოს ქვეყნები ჩვენი წინადადებების კონკრეტულ განხილვას დღემდე არ დათანხმებიან.

ჩვენ მზად ვართ ვიაროთ ყველა მომართულებით, რომლებსაც მოჰყვება გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის რეალურ ღონისძიებათა განხორციელება. და ყველა ეტაპზე, ყოველ დარგში საჭიროდ მიგვაჩნია მეცაცი კონტროლი დაუწესდეს მიღწეულ შეთანხმებათა დაცვას, ადგილებზე ინსპექციებიც კი შეიქმნას. მაგრამ ყველაზე საგულდაგულო და საიმედო კონტროლის ღონისძიებანი, ისევე როგორც განიარაღების ღონისძიებანი, ორმხრივი უნდა იყოს. აქ კი, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ მეორე მხარის შესაბამის პასუხს. ბოლო დროს ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ ადეკვატური კონტროლი დაუწესდეს ბირთვული გამოცდების შეწყვეტასა და ქიმიური იარაღის აკრძალვას, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებასა და კოსმოსში იარაღის გაუვრცელებლობას. მზად ვართ გავსწესთ ჩვენი ლაბორატორიები, მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოხდეს ნაცვალგებს საფუძველზე. ამავე დროს ჩვენ ვერ ვეღირსეთ იმათ პოზიტიურ გამოხმაურებას, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ერთის ამბით აცხადებდა, უმაცრესი კონტროლის მომხრენი ვართო.

კონტროლთან ერთად შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების პროცესის უმნიშვნელოვანესი თანამდევი ღონისძიება უნდა გახდეს ისიც, რომ ამ პროცესში დაზოგილი სახსრები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს მოხმარდეს.

საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველმხრივ ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფოსთან, ვინც იღვწის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. მან პოზიტიური რეაგირება მოახდინა „ჰარარეს მოწოდებაზე“, რომელშიც ძლიერად და მტკიცედ გაისმა მიუმხრობლობის მოძრაობის მოწოდება შეწყვეტ გამალებულ შეიარაღება და მოისპოს ბირთვული იარაღი, მტკიცედ დაუკავშირდეს ერთმანეთს განიარაღებისა და განვითარების პრობლემები. სრული გაგებითა და პრაქტიკული ნაბიჯებისათვის მზადყოფნით გამოეხმაურა იგი „ოთხი კონტინენტის ექვსი სახელმწიფოს“ მოწოდებასაც, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ გამალებული ბირთვული შეიარაღების უსწრაფესად შეწყვეტასა და კოსმოსში იარაღის გატანის დაუშვებლობას.

1986 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ხელი მოვაწერეთ დელის დეკლარაციას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ — ახალი პოლიტიკური აზროვნების დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტულ მნიშვნელობასა და იმას, რომ უნდა გავაერთიანოთ ძალები, რათა ავაშენოთ ბირთვული იარაღისაგან, ძალადობისა და სიძულვილისაგან, ეჭვისა და შიშისაგან თავისუფალი მსოფლიო.

ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებებისადმი მიძღვნილი სტოკჰოლმის კონფერენციის სხვა მონაწილეებთან საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულმა ურთიერთმოქმედებამ ხელი შეუწყო ამ კონფერენციის წარმატებით დამთავრებას. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ სტოკჰოლმში მიღწეული შედეგები განვავითაროთ ვენაში სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მორიგ შეხვედრაზე.

საბჭოთა კავშირმა აქტიურად დაუჭირა მხარი ევროპის ცალკეულ რაიონებში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირების მთელ რიგ წინადადებებს, — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ინიციატივას ბალკანეთში შეიქმნას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოწოდებას, მოსპონ ქიმიური იარაღი კონტინენტის ცენტრში, ფინეთის წინადადებას უბრითვო ჩრდილეთ ევროპის შესახებ და სხვებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მიუმხრობელი სახელმწიფოების წინადადებას, ხმელთაშუა ზღვა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად. ჩვენი მხრივ გამოვთქვით მთელი რიგი მოსაზრებანი, კერძოდ, წამოვაყენეთ წინადადება ხმელთაშუა ზღვიდან გამოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სამხედრო ფლოტები.

განვლილ წელს ჩვენ ვიღვწოდით იმისათვის, რომ უსწრაფესად განხორციელებულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის შესახებ, დაუყოვნებლივ მოწვეულიყო ამ მიზნით საერთაშორისო კონფერენცია. ახალი საბჭოთა ინიციატივები ითვალისწინებენ ინდოეთის ოკეანეში სამხედრო-საზღვაო აქტიურობის არსებითად შემცირებას, ამ რეგიონში ნდობის, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების უსაფრთხოების გარანტიის ღონისძიებათა გამოყენებას.

მთელი რიგი დიდი მასშტაბის ინიციატივები წამოვაყენეთ მსოფლიოს ისეთ მნიშვნელოვან რაიონში უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, როგორიც არის აზია და წყნარი ოკეანის აუზი. ორმხრივი ურთიერთობისათვის მეტი დინამიზმის მინიჭება, არსებული რეგიონალური პრობლემების მოწესრიგება, სამხედრო აქტიურობის დონის შემცირება მიგვაჩნია ისეთი ატმოსფეროს შექმნის უტყუარ გზად, რომელიც სამოლო ინგარიშში საშუალებას მოგვცემს მოვიწვიოთ ჰელსინკის ტიპის კონფერენცია და შევიმუშაოთ აზია-წყნარი ოკეანის რაიონში უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საიმედო ღონისძიებათა კომპლექსი.

კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის მილიტარიზაციის გაძლიერებით შეშფოთებულმა საბჭოთა კავშირმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცადინეობას, მის წინადადებას, რომ უბრითვო ზონა შეიქმნას მთელ კორეის ნახევარკუნძულზე.

ჩვენ ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა შევანელოთ მსოფლიოში დაძაბულობის შემქმნელი კრიზისული სტუაციები, თავიდან ავიცილოთ ახალი კონფლიქტების წარმოქმნა.

ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრის მიზნით წინადადება წამოვაყენეთ, შეიქმნას მოსამზადებელი კომიტეტი უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის მონაწილეობით საზავო კონფერენციის მოსაწვევად, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ირანელთა ურთიერთმოქმედებამ ხელი შეუწყო ამ კონფერენციის წარმატებით დამთავრებას. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ სტოკჰოლმში მიღწეული შედეგები განვავითაროთ ვენაში სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მორიგ შეხვედრაზე.

საბჭოთა კავშირმა აქტიურად დაუჭირა მხარი ევროპის ცალკეულ რაიონებში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირების მთელ რიგ წინადადებებს, — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ინიციატივას ბალკანეთში შეიქმნას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოწოდებას, მოსპონ ქიმიური იარაღი კონტინენტის ცენტრში, ფინეთის წინადადებას უბრითვო ჩრდილეთ ევროპის შესახებ და სხვებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მიუმხრობელი სახელმწიფოების წინადადებას, ხმელთაშუა ზღვა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად. ჩვენი მხრივ გამოვთქვით მთელი რიგი მოსაზრებანი, კერძოდ, წამოვაყენეთ წინადადება ხმელთაშუა ზღვიდან გამოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სამხედრო ფლოტები.

ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ Გ

ᲣᲔᲥᲔᲜᲘᲚᲘ გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად, შეეხოს მის ყველა უმნიშვნელოვანეს მიმართულებას: დაგეგმვას, სამეურნეო ანგარიშს, ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს. ერთი სიტყვით, საწარმოო სისტემის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველა იმ ატრიბუტს, რომელიც მის სამეურნეო დამოუკიდებლობის პრინციპებს განამტკიცებს.

საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომი სრულყოფის პროცესში მთავარია სამეურნეო ანგარიშის მექანიზმის განმტკიცება, ანუ სრულ, რეალურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა იმ ვარაუდით, რომ ანაზღაურების პრინციპები რეალიზებული იყოს კოლექტივისა და მისი წევრების არა შრომის შედარებით, არამედ აბსოლუტური შედეგებით. საწარმოები უნდა გადავიდნენ სახელმწიფოსთან საიჯარო ურთიერთობაზე იმ მიზნით, რომ მათი ფორმირება და განვითარება უზრუნველეყოთ ხარჯდაფარვისა და თვითდაფინანსების საფუძველზე. ყოველგვარი გადახდა უნდა მოხდეს საწარმოს საკუთარი შემოსავლიდან, ყოველი სიახლე აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს საწარმოს ფონდების დამატებითი ზრდის პროცესს, უწინარეს ყოვლისა კოლექტივების ეკონომიკურ და მატერიალურ ფონდებს, აგრეთვე ყველა ზემდგომი ორგანოს შემოსავალს, მხოლოდ ასეთ პირობებში აღმოცენდება და გაღვივდება როგორც კოლექტიური, ისე პიროვნული ინტერესი შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, შიგა რეზერვების მაქსიმალური მობილიზების საქმეში.

უკანასკნელ დრომდე საწარმოთა დამოუკიდებლობის ჩარჩოები უპირატესად დარგობრივ ინტერესებს მოიცავდა. ახლა დადგა დრო, რომ სახელმწიფო საწარმოთა დამოუკიდებლობა განვიხილოთ მათი მოქმედების რეგიონალურ თავისებურებებთან მჭიდრო კავშირით. ეს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ფოთისა და თბილისის სამრეწველო საწარმოების ბრთვის ახალი რეგიონალური მეთოდების შემოღებასთან დაკავშირებით გამოიცადა.

ცნობილია, რომ სამრეწველო საწარმოები და გაერთიანებები სარგებლობენ გარკვეული რეგიონის ტერიტორიის ფართობით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით იყენებენ ადგილობრივ შრომითს და ბუნებრივ რესურსებს.

ასეთ პირობებში დარგობრივი დაქვემდებარების საწარმოთა დამოკიდებულებას რეგიონის სახელმწიფოებრივ ორგანოებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკასა და ქვეყნის სხვა რეგიონებში განხორციელდა ადგილობრივი რეგიონალური ორგანოების, საბჭოების უფლებებს გაფართოება, იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც განლაგებულია მათს ტერიტორიაზე. გამოცდილება ცხადყოფს, რომ იმ საწარმოთა დარგობრივი დაქვემდებარების პირობებში ისინი წარმოგვიდგებიან როგორც რეგიონალური საწარმოო უჯრედები. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები უფლებამოსილი არიან კოორდინაცია და კონტროლი გაუწიონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ დარგობრივი დაქვემდებარების საწარმოებს მიწათსარგებლობის, ბუნებრივის დაცვის, მშენებლობის წარმართვის, სომძლავრეებისა და შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების, სოციალურ-კულტურული მომსახურების მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, საწარმოთა მეურნეობრივი მოქმედების მრავალი საკითხი მათი დაგეგმვისა და სასაქონლო ურთიერთობის საკითხების ადგილობრივ რეგიონალურ ორგანოებთან შეთანხმების მექანიზმი ჯერ არ არის მთლიანად დამუშავებული და დახვეწილი. ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, თუ რამდენად სავალდებულოა ტერიტორიული მართვის ორგანოების რეკომენდაციები დარგობრივი დაქვემდებარების საწარმოებისათვის. ერთი სიტყვით, საწარმოთა დამოუკიდებლობის სტატუსს მათი მართვისა და ორგანიზაციის რეგიონალური ასპექტების გათვალისწინებით დაზუსტება სჭირდება.

ჩვენი სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლისათვის შესაბამისი მოცულობის, ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის ვალდებულებით მიწოდებას, ვერ უზრუნველყოფს შემკვეთს ნაწარმით დადგენილ ვადებში.

1983 წელს სსრ კავშირის მრეწველობის საწარმოთა და გაერთიანებათა დაახლოებით 39-მა პროცენტმა ვერ შეასრულა რეალიზაციის გეგმა მიწოდებისა და შეკვეთების გათვალისწინებით და ამ მიზნით სახალხო მეურნეობას 10 მილიარდი მანეთის პროდუქცია დააკლო. 1985 წელს აქ მაჩვენებელმა 9 მილიარდი მანეთი, ხოლო გასული წლის 9 თვეში დაახლოებით 5 მილიარდი მანეთი შეადგინა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1980-1982 წლებში ყოველწლიურად მზადდებოდა 17 მილიარდი მანეთის ღირებული პროდუქცია, რომელიც არ იყო ნაკარაუდევი სავაჭრო ორგანიზაციებთან და სხვა მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებით. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც.

ჩვენმა რესპუბლიკამ 1985 წელს მომხმარებლისათვის პროდუქციის ასორტიმენტის გათვალისწინებით მიწოდების გეგმის შეუსრულებლობის გამო სახელმწიფოს 283 მილიონი მანეთზე მეტი ღირებულის ნაწარმი დააკლო. სახელშეკრულები დისციპლინა 7207 შემთხვევაში დაირღვა, ამისათვის ჯარიმის სახით გადაიხადეს 46 მილიონ მანეთზე მეტი. გასული წლის 8 თვის განმავლობაში რესპუბლიკის ყოველი მეექვსე საწარმო არღვევდა სახელშეკრულებო პირობებს, აკლებდა მომხმარებელს ათმილიონობით მანეთის პროდუქციას. დასანანია, რომ მათ შორის არიან ისეთი საწარმოები და გაერთიანებები, როგორიც არის რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და სხვები.

სკკპ ახალ პროგრამაში მითითებულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის სახალხო მეურნეობის ძირეული რგოლების პასუხისმგებლობა. ეკონომიკური პასუხისმგებლობა სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია. ეკონომიკური პასუხისმგებლობა ნიშნავს, ერთი მხრივ, ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას, ეკონომიკურ ინტერესებსა და ეკონომიკურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას, ეკონომიკურ ინტერესებსა და ეკონომიკურ ინტერესებს შორის ბალანსის

ქართველი

მოთხრობა

ცნობილ ქართველ საბავშვო მწერალს ლავრენტი ჭიჭინაძეს 80 წელი შეუსრულდა.

მწერალმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო ოციან წლებში სკოლის მასწავლებლობით, შემდეგ კი სისტემატურად შემოამდა საბავშვო პერიოდულ პრესაში. პირველი მისი ნაწარმოები დაიბეჭდა 1927 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", პირველი საბავშვო მოთხრობების წიგნი „ისლიანი სახლები" კი გამოიცა 1934 წელს. მას მოყვა მოზრდილი მოთხრობა „ჯარამაგი", რომანი „ნარბევი", მოთხრობების კრებული „ნადირ-შაპის ხმალი".

დიდი სამამულო ომის მონაწილე მწერალმა ფრონტულ გაზეთებში გამოქვეყნებული მოთხრობები და ნარკვევები საბრძოლო თემებზე ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „ბოროტსა სძლია კეთილმან".

სხვადასხვა დროს გამოიცა საბავშვო მოთხრობების კრებულები „სახსოვარი", „სათავე", „თანაკლასელები", „ორი ნაპირი", „ტოლები", „გუგულეთის გორაზე", „შეკვლე", „ფოთოლი".

მწერალი დღესაც აქტიურად თანამშრომლობს პერიოდულ პრესაში, ეხმიანება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

გთავაზობთ ლ. ჭიჭინაძის ახალ მოთხრობას „ერთგული".

ერთგული ალბათ ადრე ადამიანებს ეგონათ, ალბათ ადრე ადამიანებს ეგონათ, ალბათ ადრე ადამიანებს ეგონათ,

ინტერფაქსი
ფაქტები • მოვლენები

გაანიარაღება დროის მოთხოვნაა

უბრთვო მსოფლიოსათვის

სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებული უბირთვო მსოფლიოს შექმნის ყოვლისმომცველი პროგრამის გამოქვეყნების პირველი წლისთავი. სამშვიდობო ინიციატივების ეს კომპლექსი შეიცავს ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეში კაცობრიობის ხსნის კონკრეტულ გზებს. მათ ისტორიულ მნიშვნელობას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყვნენ მოქცეულნი. ახეთი ინტერესი შემთხვევითი არ არის, ვინაიდან საბჭოთა წინადადებების ღერძია მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც თხუთმეტ წელზეა გათვალისწინებული.

შეაფასა რა ამ წინადადებათა მნიშვნელობა, საფრანგეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, გალენიანი ორგანიზაციის „ასთა მოწოდების“ ხელმძღვანელობის წევრმა ჟორჟ სეგმ მათ უწოდა უდიდესი წესლი ახალი სიტუაციის შექმნაში, რომელიც დასახავს კაცობრიობის მთელი ისტორიის მკვეთრი შემობრუნების გზას.

ახლა, როცა მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ ვშვიდობის საბჭოთა კომპლექსური პროგრამის გამოქვეყნების პირველ წლისთავს, ვაშინგტონში განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების 1988 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც გეგმავს, კიდევ უფრო მეტად — 22 მილიარდი დოლარით გაზარდოს სამხედრო ხარჯები, გაადიდოს იგი ასტრონომიულ თანხამდე — 312 მილიარდამდე.

ამერიკის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯორჯ მაკჰოვერმა ამასთან დაკავშირებით მოუწოდა პრეზიდენტ რეიგანს განიხილოს შემდეგი სამი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა:

— ბირთვული გამოცდების ორმხრივი შეწყვეტა, რომელსაც ცალმხრივ წესით იცავს საბჭოთა კავშირი 1985 წლის 6 აგვისტოდან;

— გადაწყვეტილების მიღება ამერიკის ზოგიერთი შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ, რათა ამრიგად ამერიკის შეერთებული შტატები დარჩეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, როგორც ამას ახლა შვრება მოსკოვი;

— „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ფარგლებში უახლოესი ათი წლის განმავლობაში გამოკვლევათა შეზღუდვაზე დათანხმება.

შეგნება იმისა, რომ ბირთვული საფრთხისაგან განთავისუფლების მიზნით ისტორიული შეთანხმება რეალური და შესაძლებელია, ბევრი მიმომხილველის აზრით, პირველი გაკვთილია, რომელიც ნათელი გახდა სსრ კავშირის მეცადინეობის მეოხებით. როგორც ბულგარეთის ბაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერდა, „თანამედროვე ეპოქაში ომი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება, საჭიროა გავთავისუფლოთ პლანეტა ბირთვული იარაღისაგან“.

● ნიკარაგუა

მიიღეს ახალი კონსტიტუცია

ძირითადი კანონის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია მანაგუაში

მანაგუა. 9 იანვარი ისტორიული დღეა ნიკარაგუელი ხალხის ცხოვრებაში — ძალაში შევიდა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია.

მანაგუაში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ძირითად დოკუმენტს ხელი მოაწერეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ და ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ კარლოს ნუნიესმა. ქვეყნის ისტორიაში პირველმა ქემმარიტად დემოკრატიულმა კონსტიტუციამ განამტკიცა სანდინისტური რევოლუციის ანტიიმპერიალისტური სახალხო ხასიათი, მშრომელთა უფლებები, კერძოდ, სახელმწიფოს მართვის, შრომის, სამედიცინო მომსახურების, განათლების უფლებები. ნიკარაგუა, ჩაწერილია კონსტიტუციაში, უარყოფს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყოველგვარ ფორმას, სოლიდარობას უცხადებს ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს.

ცერემონიაზე სიტყვით გამოსულმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ გულისწყრომით დაგმო შეერთებული შტატების აგრესიული ხრიკები, რომლებიც მიზნად ისახავენ სანდინისტური სახალხო რევოლუციის ჩაშლობას. რეიგანის ადმინისტრაცია აქეზებს კონტრასებს შეშოიკრან ნიკარაგუაში და ჩაიდინონ ახალი ბოროტმოქმედებანი სრულიად უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ.

ნიკარაგუელები არ დაიჩოქებენ ამერიკის იმპერიალიზმის ინტერვენციონისტული ზრახვების წინაშე, და მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან თავიანთი რევოლუციური მოსახეერები, ახალი კონსტიტუცია, ხალხის ძალაუფლებას, მის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევის უფლებას რომ აკანონებს, თქვა დანიელ ორტეგამ. მან დაადასტურა, რომ სანდინისტური მთავრობა იბრძოლებს ცენტრალურ, ამერიკაში მშვიდობის მისაღწევად, და ამასთან აღნიშნა ნიკარაგუის ზზადყოფნა მხარი დაუჭიროს რეგიონში ვითარების მოწესრიგების ყოველგვარ პოლიტიკურ ძალისხმევას.

● ვიეტნამი-ჩინეთი

მწვავე დაძაბულობა

ჰანოი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე არ ცხრება მწვავე დაძაბულობა.

7 იანვარს ჩინეთის მხარე, ნათქვამია ცნობაში, მთელ დღეს უშენდა ცეცხლს ვისიუენის მაზრის (ხატუენის პროვინცია) მთელ რიგ რაიონებს და დიდი ძალებით უტევდა საზღვრის შორიახლოს ვიეტნამის ტერიტორიაზე მდებარე მაღლობებს. ვიეტნამელი მეომრები მედგრად დაუბვდნენ საზღვრის დამრღვევებს — მათ მწყობრიდან გამოიყვანეს 900-მდე ჩინელი სამხედრო მოსამსახურე და ხელთ იგდეს სამხედრო ალაფი.

ვისიუენის მაზრის შეიარაღებული ძალების სარდლობამ, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო, ჰუმანური მოსაზრებებით ნება დართო ჩინეთის მხარეს აეკრიფა ბრძოლის ველზე დაზოცილთა გვამები.

▼▼

პირდაპირ თვალწინ იცვლის სახეს ქუთაისის ავტომობილშენებელთა დასახლება, რომლის ზრდა-კეთილმოწყობა თვით ქუთაისის ავტოქარხნის რეკონსტრუქციის პარალელურად მიმდინარეობს. ამ დღეებში აქ გაიხსნა ახალი პოლიკლინიკა, რომელიც დღეში 400 კაცს მოემსახურება. პირველი პაციენტები მიიღო მედსანგანყოფილებასთან არსებულმა პროფილაქტიკურმა განყოფილებამაც, სადაც დანერგილია შშრომელთა მასობრივი სამედიცინო გამოკვლევის კომპლექსური სისტემა.

ყოველწლიურად სულ უფრო

ქუთაისი

მეტი ფული ხმარდება ავტომშენებელთა სოციალურ საჭიროებებს. მათ მიკრორაიონში, რომელსაც ახალგაზრდული უნივერსიტეტი, ქარხნის მუზეუმი, 180-ადგილიანი ოჯახმა ახალი წლის ზენ შრომა კეთილმოწყობილი ბინები ახალ ცხრასართულიან სახლებში. ახალმოსახლეობა იზეიმეს ბავშვებმაც: მათ გადაეცათ ახლად აშენებული №4 საბავშვო ბაღი.

▼▼

ბავშვის კოსტიუმების, ქურთუკების, ქალისა და მამაკაცის ზედა ტრიკოტაჟის პირველი პარტია გაუგზავნა მომხმარებლებს ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც წელს შვიდ სამუშაო დღეში 1,4-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1986 წლის შესაბამის პერიოდში. წარმოებაში და გადაცემული 29 მოდელიდან 16-ს წელს პირველად გამოუშვებენ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ

ამერიკელი იმპერიალისტი:
— უეჭველია, რომ ისინი ჩვენზე თავდასხმას აპირებენ!

„ბარიკადა“, მანაგუა.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამინისტრომ კონგრესს სთხოვა ნება დართოს მოაწყოს მომდინარე წლის დამლევს თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტების სამი საცდელი სროლა კოსმოსურ სივრცეში არსებულ რეალურ სამიზნეზე. ამ გამოცდათ, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, უნდა დაიწყოს პენტაგონის მიერ ასატის — თანამედროვე თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის დამამთავრებელი ეტაპი.

● **ლუანდა.** ბოლო სამი კვირის განმავლობაში რასისტული ხამხრეთ აფრიკის მხედრიონი ექვსჯერ შეიჭრა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იტყობინება ანგოლის საინფორმაციო სააგენტო ანგოპი. სამხრეთ აფრიკის ხაბრძოლო თვითმფრინავებმა არაერთხელ დაარღვიეს ანგოლის საჰაერო საზღვრები. ამ აგრესიული აქციების დროს პრეტორიის რეჟიმი აქტიურად იშველიებდა უნიტას ტერორისტულ ბანდებს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„დისკავერის“ გაშვება დაგეგმილია 1988 წლის 18 თებერვლისათვის

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ჯეიმს ფლეტჩერმა გამოაცხადა მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „დისკავერის“ ეკიპაჟის შემადგენლობა. ხომალდის გაშვება დაგეგმილია 1988 წლის 18 თებერვლისათვის.

ასტრონავტები, რომლებიც ემზადებიან ფრენისათვის, არიან კოსმოსური კვლევის ვეტერანები, კოსმოსური ხომალდებით „დისკავერითა“ და „ატლანტისით“ ფრენის მონაწილენი: ფრედერიკ ჰაუკი, რიჩარდ კოუეი, ჯონ ლონჯი, ჯორჯ ნელსონი და დევიდ ჰილმერსი.

„დისკავერის“ გაშვება კოსმოსში ამერიკის შეერთებული შტატების პირველი სტარტი გახდება მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერის“ გასული წლის 28 იანვრის კატასტროფისა და მისი ეკიპაჟის შვიდი წევრის დაღუპვის შემდეგ.

კანაველალის კოსმოდრომზე გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ეროვნული სამმართველოს მეთაურმა თქვა, რომ ხომალდის გაშვების თარიღი საორიენტაციოა და იგი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კოსმოსური უწყება დარწმუნებული იქნება ფრენის უსაფრთხოებაში. როგორც ფლეტჩერმა თქვა, ეროვნული სამმართველო ახლა ძირეულად გადასინჯავს ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემებს, მათ შორის ამოწმებს ასტრონავტების საავარიო ხსნის ახალ სისტემებს, აუმჯობესებს ხომალდების აფრენისა და დაშვების რაიონებში ამინდის პროგნოზირების სამსახურის მუშაობას, აახლებს კოსმოსური აპარატების ძრავებს, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალ ხომალდს აღჭურავენ მოდერნიზებული მყარსათბობიანი მაჩქარებლებით. როგორც იუწყებოდნენ, სწორედ მყარსათბობიანი მაჩქარებლების კონსტრუქციაში არსებული დეფექტები გახდა „ჩელენჯერის“ კატასტროფის მთავარი მიზეზი. ბევრი ამერიკელი სპეციალისტი აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით, რომ თუ გავითვალისწინებთ ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში ეროვნული სამმართველოს წინაშე მდგომი პრობლემების სირთულეს, საეჭვოა კოსმოსურმა უწყებამ მოასწროს მათი გადაჭრა მომავალი წლის თებერვლისათვის.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების გაშვების განახლების შემდეგ ფრენის პროგრამა თითქმის მთლიანად დაექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების საჭიროებებს, ძირითადი გამოკვლევები კი დაკავშირებული იქნება „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამასთან.

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲜᲔᲞᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

აზიის ცენტრში მდებარე ნეპალის დედაქალაქი კატმანდუ მნახველს ხიბლავს თავისი ეგზოტიკით, განუმეორებელი კოლორიტით, უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლების სილამაზით. ქალაქის ყოველი კუთხე სახვეულისა და ტანსაცმლის, სიძველისა და თანამედროვეობის თავისებურებით გამოირჩევა (მარცხენა სურათზე); ნიატაპოლა ნეპალის ყველაზე მაღალი ხუთიარუსიანი პაგოდაა (მარჯვენა სურათზე). ამ ტაძარს, რომლის კარიბჭეს ნაქანდაკები ეპოსის გმირები, მითური ცხოველები და ღმერთები იცავენ, ამას წინათ 300 წელი შეუსრულდა. პაგოდის სტილი ნეპალის სიამაყეა.

საკადესის ფოტო.

● აშშ

პირველი სტარტი კატასტროფის შემდეგ

„დისკავერის“ გაშვება დაგეგმილია 1988 წლის 18 თებერვლისათვის

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ჯეიმს ფლეტჩერმა გამოაცხადა მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „დისკავერის“ ეკიპაჟის შემადგენლობა. ხომალდის გაშვება დაგეგმილია 1988 წლის 18 თებერვლისათვის.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲝᲡᲘᲔ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲫᲠᲬᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲙᲝᲚᲙᲝᲢᲘᲡ ᲮᲠᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

პნომპენი. პოლპოტის ხროვის დანაშაულობათა გამოძიების სპეციალურმა კომისიამ გამოაქვეყნა აქ გენოციდის ბარბაროსული რეჟიმის შედეგების დაზუსტებული მონაცემები: პოლპოტელებმა 3314718 კამპუჩიელი გაუსტეტეს. იმ პერიოდში 140 ათასზე მეტი კაცი დასახიჩრდა. 200 ათასმა ბავშვმა დაკარგა მშობლები.

ყველაზე მეტად დაზარალდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები — ექიმები, მასწავლებლები. ჯალათებმა მუსრი გაავლეს თითქმის ყველა ცნობილ მწერალს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეს, მღვდელმსახურთა უდიდეს უმრავლესობას.

უზარმაზარი ზარალი განიცადა ქვეყნის ეკონომიკურმა პოტენციალმა, აღნიშნულია კომისიის დოკუმენტში, მისმა მატერიალურმა კულტურამ, ისტორიულმა ძეგლებმა. ბარბაროსებმა მიწასთან გაასწორეს საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამ ბარბაროსებმა ბევრი ადგილი ნაოსნობისათვის, ბანაობისათვის, ბალიტიკაზე ნავსადგურებისა და ბაზრების ადგილებად, ბალიტიკაზე ბინადარ ადამიანთა ბინადარ ადგილ